გიორგი სანიკიძე - 60

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორს, აღმოსავლეთმცოდნეობის ღვაწლმოსილ მეცნიერსა და ისტორიკოსს, გიორგი სანიკიძეს, დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

საიუბილეო წერილები ბიოგრაფიული ელემენტების გარეშე წარმოუდგენელია. ტრადიციას ვერც აქ დავარღვევთ და მკითხველს მოკლედ გავაცნობთ გიორგი სანიკიძის საინტერესო ცხოვრების ზოგიერთ დეტალს.

ბატონი გიორგი სანიკიძე დაიბადა 1962 წლის 24 ოქტომბერს, თბილისში. 1979 წელს დაამთავრა თბილისის 54-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობით, რომლის სრული კურსი დაასრულა 1984 წელს.

1986 - 2002 წლებში მუშაობდა აკადემიკოს გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად.

1996-2002 წლებში იყო თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანი და ამავე ფაკულტეტის პროფესორი.

2001-2005 წლებში გიორგი სანიკიძე გახლდათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი.

2006-2010 წლებში კი ეკავა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის აკადემიური თანამდებობა.

2010-2021 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი.

2002-2010 წლებში გახლდათ აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი.

2010 წელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის გაერთიანების შემდეგ, მან გააგრძელა დირექტორის თანამდებობაზე მუშაობა.

გიორგი სანიკიძე 2010 წლიდან დღემდე გახლავთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი.

1990 წელს გიორგი სანიკიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის სადისერტაციო საბჭოზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ისმაილიანთალმწიფოს შექმნა ირანში“ და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის აკადემიური ხარისხი, ხოლო 2001 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის სადისერტაციო საბჭოზე, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „შიიზმი და სახელმწიფო ირანში“ და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

პროფესორ გიორგი სანიკიძის სამეცნიერო ინტერესის სფეროებია: ახლო აღმოსავლეთის (უპირველესად ირანის) ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა; საქართველოსა და კავკასიის ისტორიული ურთიერთობები აღმოსავლეთის ქვეყნებთან; თანამედროვე ისლამთან და ისლამურ მოძრაობებთან დაკავშირებული პრობლემები; „ორიენტალიზმის“ საკითხი და აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობები; აღმოსავლური ისტორიოგრაფია და სხვა.

პროფესორი გიორგი სანიკიძე მაღალკვალიფიციური ლექტორია. წლების განმავლობაში მიჰყავს სასწავლო კურსები

შემდეგ დისციპლინებში: საერთაშორისო ურთიერთობათა შესავალი; ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორია; ახლო აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორია; ახლო აღმოსავლეთის ისტორია; პოლიტიკური პროცესები თანამედროვე ახლო აღმოსავლეთში; ისლამი და პოლიტიკა; ისლამი და სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში; ისლამი და პოლიტიკა კავკასიაში; საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიული ურთიერთობები; აღმოსავლეთი და დასავლეთი – ურთიერთობების და ურთიერთაღქმის ისტორია; საერთაშორისო ტერორიზმი; ირანის ძველი და შუა საუკუნეების ისტორია; ირანის ახალი და უახლესი ისტორია; თანამედროვე ირანი - პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება; აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობების ისტორია და სხვა.

პროფესორი გიორგი სანიკიძე აქტიურადაა ჩართული მომავალი თაობის აღზრდა - განათლების საქმეში და ბევრ ახალგაზრდას გაუკვალა გზა მეცნიერებისაკენ. მისი ხელმძღვანელობით სადოქტორო დისერტაცია დაიცვა არაერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდა მკვლევარმა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან.

პროფესორი გიორგი სანიკიძე სხვადასხვა დროს მიწვეული მკვლევრის სტატუსით მუშაობდა პარიზი-სორბონა-III-ისა და პარიზი-სორბონა-IV-ის უნივერსიტეტებში, კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტში, ჰოკაიდოსა და ოსაკას უნივერსიტეტებში. მიღებული აქვს ფულბრაიტის, დიდროს, იაპონიის ფონდის, ჰოკაიდოს უნივერსიტეტის, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის, კარნეგის ფონდის, რუსთაველის ფონდის, ამსტერდამის სოციალური ისტორიის ინსტიტუტის, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“, „ევრაზიის“ ფონდის, INTAS-ის სტიპენდიები და გრანტები.

არის დაახლოებით 70 სამეცნიერო პუბლიკაციის, რომლებიც, საქართველოს გარდა, გამოქვეყნებულია 10 ქვეყანაში, არაერთი სახელმძღვანელოსა და საგაზეთო სტატიის ავტორი. მონაწილეობდა 80-მდე საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო ფორუმში. წაკითხული აქვს ლექციები კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტში; მონტანას, სორბონა-III-ისა და სორბონა-IV-ის,

ვასედას, ჰოკაიდოს, ოსაკასა და კიოტოს, მეხიკოს იბეროა-მერიკანას და ანაჰუაკის უნივერსიტეტებში.

არის არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციისა და საზოგადოების წევრი: „ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის კვლევის ასოციაციის“, „ირანული კვლევების საერთაშორისო საზოგადოების“, „ცენტრალური ევრაზიის კვლევების საზოგადოების“, ცენტრალური ევრაზიის პროექტის (CNRS და EHESS) წევრი. ასევე „სპარსულენოვანი საზოგადოებების კვლევის საერთაშორისო ასოციაციის“ წევრი და რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი; საფრანგეთის ინსტერსაუნივერსტეტო ჯგუფის „ირანული და ინდური სამყარო“ ასოცირებული წევრი;

2012 წელს მიენიჭა „ფარაბის საერთაშორისო პრემია“ ირანისტიკისა და ისლამმცოდნეობის დარგებში განხორციელებული კვლევებისათვის (იუნესკოს და ისესკოს (ირანისტიკისა და ისლამმცოდნეობის კვლევითი ცენტრი, ირანი) ერთობლივი კონკურსი).

ფსიქოლოგები თვლიან, რომ ადამიანი, რომელიც ცხოვრებას ძირითადად ახალგაზრდების გარემოცვაში ატარებს გვიან ბერდება და ჭარმაგობაშიც ინარჩუნებს ჭაბუკურ მუხტს. სწორედ ბატონ გიორგი სანიკიძეზე ითქმება ეს. ალბათ, ძნელად დასაჯერებელია, რომ ამ ენერგიით სავსე ადამიანმა უკვე ექვსი ათწლეული შეასრულა და 30 წელი მუხჩაუხრელად მოღვაწეობს განათლების სისტემაში.

ბატონი გიორგი სანიკიძე დიდებულ მაგალითს წარმოადგენს ბევრი ახალგაზრდა კოლეგისთვის.

ასობით სპეციალისტის აღმზრდელ, ღვაწლმოსილ პედაგოგს 2022 წელს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

ასე მიდის ერთი უანგარო, დამსახურებული და უპრეტენზიო მოქალაქის, პროფესორ გიორგი სანიკიძის ცხოვრება.

მრავალჟამიერ ბატონო გიორგი!

პროფესორი გიორგი სანიკიძე სტუდენტებზე და კოლეგებზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცია. თქვენ რჩებით სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლებისათვის ქართველ კაცობისა და ჭეშმარიტი მოქალაქის სიმბოლოდ და მაგალითად.

ბატონო გიორგი, გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, აქტიურ საქმიანობას და მოღვაწეობას როგორც სამეცნიერო, ისე ქვეყნის სამსახურში.

პროფესორი ემზარ მაკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი